GIU № 01-01/64

21/10/2024

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს რექტორის
ბრძანება N 01-01/64

ქ.თბილისი **21 ოქტომბერი, 2024**

წ

(სტუდენტების გაცვლითი პროგრამით მობილობის კონკურსის გამოცხადების შესახებ)

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტში მოქმედი უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილების, ანგარიშვალდებულების წესის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-სა და თუნგ ვას კოლეჯს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და უნივერსიტეტის შიდა-სამართლებრივი აქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის II და III კურსების სტუდენტებისათვის გამოცხადდეს კონკურსი თუნგ ვას კოლეჯში საერთაშორისო მობილობით გაგზავნის მიზნით;
2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:
I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტების მიღება და გადარჩევა
II ეტაპი: ტესტირება ინგლისურ ენაში
III ეტაპი: პრეზენტაცია შერჩეული თემის მიხედვით
3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;
- აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შესაბამისი ცნობა უნივერსიტეტიდან;
- სამოტივაციო წერილი (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამდასტურებელი დოკუმენტი (ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნის დონე შემოწმდება საუნივერსიტეტო შიდა გამოცდით);
- CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- 1 ან 2 სარეკომენდაციო წერილი (გაიცემა ლექტორების მიერ);
- სხვა უნარებისა და მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტული კონკურსის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლოა,

მნიშვნელოვანი იყოს პირის შესარჩევად (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერკლასებსა და სხვა კონკრეტულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები).

4. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს თუნგ ვას კოლეჯის სტიპენდიას 20 000 ჰონკონგური დოლარის ოდენობით და სწავლის გადასახადისგან იქნება თავისუფალი;
5. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2024 წლის 22 ოქტემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით;
6. პირველ ეტაპზე მოხდება კანდიდატების საბუთების გადარჩევა, მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ ტესტირება ინგლისურ ენაში;
7. მესამე ეტაპზე გასულად ჩაითვლება კანდიდატი რომლის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეესაბამება არანაკლებ B2-ს და აღნიშნული დადასტურდება ტესტირებით;
8. მესამე ეტაპზე გასული კანდიდატები შერჩეული თემის მიხედვით პრეზენტაციას წარმოადგენენ კომისიასთან. კომისიის მუშაობა ფორმდება ოქმის სახით;
9. დაევალოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანებით გათვალისწინებული კონკურსის ორგანიზება და კოორდინაცია;
10. დაევალოს უნივერსიტეტის ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანს წინამდებარე ბრძანების გავრცელება;
11. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ასოცირებული პროფესორი
ელისაშვილი ელისო